სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

2026 - 2028 სასწავლო წლის

სახელმწიფო რესურსების მართვის

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

გზამკვლევი

2026

სარჩევი

1. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა**
   - 1.1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერილობა
   - 1.2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები
   - 1.3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
   - 1.4 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა
   - 1.5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

2. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა**
   - 2.1 შესარჩევი კანდიდატები
   - 2.2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა
   - 2.2.1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები
   - 2.2.2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვოტები

3. **შეფასების სისტემა**
4. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები**
5. **დასაქმების სფერო**
6. **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

1. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა**

1.1. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერილობა:**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **სახელმწიფო რესურსების მართვა/ State Resource Management;**
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 2 ნაწილისაგან:

I ნაწილი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **საჯარო მმართველობის მაგისტრი / Master of Public Administration.**

II ნაწილი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **კვლევის მაგისტრი საჯარო მმართველობაში / Master of Research (MRes) in Public Administration.**

- პროგრამის საერთო მოცულობა კრედიტებით: **120 ECTS კრედიტი,** მათ შორის:

I ნაწილი - 60 ECTS კრედიტი

II ნაწილი - 60 ECTS კრედიტი

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა:

ნაწილი I - 1 (ერთი) წელი - 2 სემესტრი. ნაწილი I პირველ და მეორე სემესტრებში სწავლება მიმდინარეობს რეზიდენტულად - საჯარო მოხელეებზე მორგებული ჰიბრიდული სწავლების რეჟიმით (სწავლება მიმდინარეობს, როგორც აუდიტორიებში, ასევე აკადემიაში არსებული ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გამოყენებით).

ნაწილი II - 1 (ერთი) წელი - 2 სემესტრი. ნაწილი II , პირველ სემესტრში სწავლება მიმდინარეობს რეზიდენტულად - საჯარო მოხელეებზე მორგებული ჰიბრიდული სწავლების რეჟიმით (სწავლება მიმდინარეობს, როგორც აუდიტორიებში, ასევე აკადემიაში არსებული ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გამოყენებით), ხოლო მე-2 სემესტრში - არარეზიდენტულად (დაუსწრებელი).

1.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები:

ნაწილი I

1.2.1. სავალდებულო სასწავლო კურსები:

1. აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის;
2. ეკონომიკური უსაფრთხოება;
3. მომარაგების და მიწოდების ჯაჭვის მართვა;
4. სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება;
5. კიბერუსაფრთხოება;
6. სტრატეგიული ლიდერობა;
7. სტრატეგიული კომუნიკაცია;
8. დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი;
9. დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება;
10. საჯარო სერვისების მართვა.

1.2.2. არჩევითი სასწავლო კურსები:

1. რეგიონალური უსაფრთხოება;
2. საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში;
3. გაღრმავებული სტრატეგიის კურსი;
4. მენეჯმენტის(მართვის) ფსიქოლოგია.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები:

ნაწილი II

სავალდებულო სასწავლო კურსები:

1. საჯარო ფინანსები;
2. მენეჯერული ეკონომიკა;
3. ფინანსური აღრიცხვა და აუდიტი;
4. კვლევის მეთოდები და დიზაინი;
5. საქართველოს ეკონომიკის სექტორული ანალიზი;
6. სამაგისტრო ნაშრომი.

არჩევითი სასწავლო კურსები:

7. მონაცემთა ანალიზი;
8. სტრატეგიული სწავლება - „სახელმწიფო მართვა მშვიდობიანობის, კრიზისების და ომიანობის დროს“.

1.3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ეროვნული უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული დონის კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო ლიდერების მომზადება, რომლებსაც ექნებათ სფეროს მულტიდისციპლინური, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში და შეეძლებათ:

- საჯარო მმართველობის ყველა დონეზე (ეროვნული, მუნიციპალური, სექტორული, ორგანიზაციული) სტრატეგიული მართვის და პოლიტიკის შემუშავება **(I - II ნაწილი);**
- მმართველობითი პროცესების უწყვეტად განხორციელება და ეფექტიანი/ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება **(I ნაწილი);**
- საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად ახალი, ინოვაციური, უნივერსალური დემოკრატიული ფასეულობათა სისტემის შესაბამისი გადაწყვეტილებების შემუშავება და მათთან დაკავშირებით სათანადო კომუნიკაცია პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიმღებებთან **(I ნაწილი);**
- ეროვნული და საერთაშორისო მეცნიერული კვლევების საფუძველზე საჯარო სექტორის ინსტიტუტების სტრატეგიული სისტემური მიდგომით მართვა **(II ნაწილი);**
- საჯარო სექტორში დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირების და აღსრულების პროცესის ორგანიზება **(I ნაწილი);**

- ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, ასევე აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების გადმოცემა ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით **(I - II ნაწილი).**

1.4 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა

- თანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს სახელმწიფო სექტორი, მათ შორის თავდაცვის ძალები, წარმოშობს სტრატეგიული დონის მართვისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საჭიროებას. პროგრამა ორიენტირებულია ისეთი სპეციალისტების განვითარებაზე, რომლებიც ფლობენ სისტემურ ცოდნას, ახორციელებენ ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიის შექმნას, მის განხორციელებას და კონტროლს **(I ნაწილი).**
- საგანმანათლებლო პროგრამის **II ნაწილი** ეფუძნება მსმენელების ანალიტიკური და კვლევითი უნარების განვითარებას, რათა მათ შეძლონ მართვის სტრატეგიულ დონეზე პრობლემის განხილვა, გაუთვალისწინებელ და ცვლად, მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა.

1.5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

1.5.1. პროგრამაზე სწავლისას სემესტრის განმავლობაში პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ჰიბრიდული სწავლების (როგორც აუდიტორიებში, ასევე სხვადასხვა სასწავლო პლატფორმების გამოყენებით) მეთოდით, რომელიც წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეებისათვის ოპტიმალურად მორგებულ სწავლების რეჟიმს.

1.5.2. სემესტრის განმავლობაში სალექციო პროცესი მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ძირითადი სასწავლო კურსები (დღეში 2 სასწავლო კურსი) მიმდინარეობს სასწავლო კვირის პარასკევს და შაბათ დღეს. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში მსმენე

ლებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ ლექციებს აკადემიაში არსებული ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გამოყენებით.

- არჩევითი სასწავლო კურსები ტარდება კვირის სამუშაო დღეებში, დღის სამუშაო საათების დასრულების შემდგომ (18:00 საათის შემდეგ) ჰიბრიდული სწავლების მეთოდის შესაძლებლობით.

1.5.3. სამაგისტრო პროგრამის ნაწილი II, მე-2 სემესტრში, მსმენელები ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მენტორობით) დამოუკიდებლად მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე, დაუსწრებელ რეჟიმში.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა

ნაწილი I

2.1. შესარჩევი კანდიდატები:

- პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურე, სამოქალაქო და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე პირები;
- პროგრამაზე ასევე დაიშვებიან უსაფრთხოების სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლები;
- საქართველოს მოქალექეობის მქონე სამოქალაქო პირები.

2.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

2.2.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად კანდიდატებმა:

- უნდა განახორციელონ ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაცია 2026 წლის 6 აპრილიდან 11 მაისის ჩათვლით (ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია მიმდინარეობს online, შეფასებისა და

გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.naec.gov.ge; online.naec.ge. ზუსტი ინფორმაცია საჭირო ქმედებების შესახებ განთავსებული იქნება ცენტრის ვებ - გვერდზე);

- წარმატებით უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის B2 (NATO-ს სტანდარტი STANAG 2/2/2/2) დონის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდა .

  შენიშვნა: STANAG 2/2/2/2 (სტანაგის თაობაზე ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - https://mod.gov.ge/ge/page/116/stanag-6001 ან თავდაცვის სამინისტროს შიდა პორტალზე - pd - mil.ge/english-text).

  კანდიდატს ენის ცოდნის დასადასტურებლად შეუძლია წარმოადგინოს ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC, CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.);
- წარმატებით უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა გამოქვეყნდება აკადემიის ვებ - გვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე).
- სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნაწილი - II

(საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 15 მაისის N 65/ნ ბრძანების თანახმად).

- პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის პირველ ნაწილზე სამაგისტრო გამოცდებით

ჩარიცხული პირი, რომელიც დაასრულებს აღნიშნულ ნაწილს, უფლებამოსილია სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე გააგრძელოს სწავლა აკადემიის არანაკლებ 120-კრედიტიანი იმავე პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე, თუ პირველ ნაწილზე ჩარიცხვიდან არ არის გასული 5 წელი.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, არანაკლებ 120 კრედიტიანი იმავე პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე ჩარიცხვისთვის, პირი ვალდებულია ჩააბაროს სამაგისტრო გამოცდა.

- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არანაკლებ 120-კრედიტიან იმავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის მეორე ნაწილზე ჩარიცხვისთვის პირი, რომელმაც დაასრულა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არანაკლებ 120-კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტის მოცულობის პირველი ნაწილი, ვალდებულია ჩააბაროს სამაგისტრო გამოცდა.

შენიშვნა: პროგრამის I და II ნაწილებზე სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირი ირიცხება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვოტები

პროგრამის I და II ნაწილებზე, თითოეული სასწავლო წლისათვის ცალ-ცალკე, განსაზღვრულია 20 მისაღები ადგილი, რომლებიც შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები - **10 მისაღები ადგილი;**
- საქართველოს სახელმწიფო უწყებების მოქმედი თანამშრომლები - **5 მისაღები ადგილი;**
- სამოქალაქო პირები - **5 მისაღები ადგილი.**
- შერჩევის პროცესში პრიორიტეტი მიენიჭება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერთა, სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირად შემადგენლობას.

- თუ სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონე სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურე.
- რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის სამინისტროს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი შეფასების მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე).

შენიშვნა: მსმენელთა ჩასარიცხ ადგილებზე კვოტების განაწილება რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით.

3. შეფასების სისტემა

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურის მსმენელის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; მაგისტრატურის მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.) მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა.

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ მაგისტრატურის მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა.

მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მაგისტრატურის მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

მაგისტრატურის მსმენელთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში. მაგისტრატურის მსმენელთა ცოდნის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრატურის მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის

ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). დასკვნითი შეფასება მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას (20

ქულა), რეცენზენტის შეფასებას (30 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას საჯარო დაცვაზე (50 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრატურის მსმენელმა უნდა შეასრულოს შემდეგი აქტივობები:

- **მოამზადოს მინიმუმ 1 პუბლიკაცია და გამოაქვეყნოს სამეცნიერო ჟურნალში;**
- **ან მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ 1 სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში.**

4. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები**:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

- განიხილავს თანამედროვე საჯარო მმართველობის განვითარების ტენდენციებს არსებულ საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით **(I ნაწილი);**
- სისტემურად აღწერს ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპებსა და კონცეფციებს **(I ნაწილი);**
- განიხილავს ეკონომიკის გავლენას ეროვნულ უსაფრთხოებაზე **(I - II ნაწილი);**
- განსაზღვრავს დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემის, მომარაგების ჯაჭვის შექმნის, მოქმედებისა და კონტროლის, ასევე სტრატეგიული სახელმწიფო შესყიდვების პრინციპებსა და მექანიზმებს **(I - II ნაწილი);**
- განიხილავს სტრატეგიული ხელმძღვანელობისა და ადამიანური რესურსების მართვის ძირითად თანამედროვე პრინციპებს **(I - II ნაწილი);**

- ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფისას ახდენს კომპლექსურ პრობლემათა იდენტიფიცირებას და აღწერას **(II ნაწილი);**
- აანალიზებს ეროვნულ და უწყებრივ დონეებზე სტრატეგიული მართვის პროცესს**(I - II ნაწილი);**
- შეიმუშავებს მომავალი სამოქმედო გარემოს კონცეფციას, აანალიზებს ეროვნული დონის სტრატეგიების რესურსებით უზრუნველყოფის პროცესს **(II ნაწილი);**
- განსაზღვრავს დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და აღსრულების სისტემის ძირითად მიმართულებებს **(I ნაწილი);**
- შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და მისი განხორციელების ძირითად ეტაპებს**(I ნაწილი);**
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას და ახდენს შედეგების არგუმენტირებულ დასაბუთებას **(II ნაწილი);**
- ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფისას ახდენს კომპლექსურ პრობლემათა შეფასებას, პოლიტიკის მიზნების განსაზღვრას, შედეგების პროგნოზირებასა და შეფასებას **(I - II ნაწილი);**
- ეროვნული და საერთაშორისო მეცნიერული კვლევების საფუძველზე შეიმუშავებს ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებულ კვალიფიციურ და კვლევაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს **(II ნაწილი);**
- რთულ და კომპლექსურ გარემოში განსაზღვრავს მოლაპარაკების სტრატეგიასა და ტაქტიკას **(I ნაწილი);**
- დამოუკიდებლად ახორციელებს უახლესი ინფორმაციის მოძიებას და გააჩნია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი **(II ნაწილი);**
- კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავებს თანამედროვე მმართველობის სისტემის მოდელს, ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს **(I ნაწილი).**

5. დასაქმების სფერო

სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების რესურსების მართვის სფეროს მმართველ რგოლებში, როგორც ხელმძღვანელ (განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის უფროსი, უწყების ხელმძღვანელის მოადგილე რესურსების დარგში), ასევე მრჩევლის თანამდებობაზე (პრეზიდენტის მრჩეველი, პარლამენტის წევრის ან საპარლამენტო კომიტეტის მრჩეველი, მინისტრის მრჩეველი, თავდაცვის ძალების მეთაურის მრჩეველი და ა.შ.), იქ სადაც საჭიროა ექსპერტული ცოდნა სახელმწიფო რესურსების სტრატეგიის განვითარებაზე, დაგეგმვა, პროგრამირება და ბიუჯეტირებაზე, აღსრულების მართვასა და კონტროლზე.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც; სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია რესურსების სფეროს დაგეგმვასა და აღსრულებაში; რესურსების სტრატეგიულ დაგეგმვაში, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ეროვნული უსაფრთხოების რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებში და სხვა. როგორც რესურსების მართვის სფეროს ექსპერტებს, კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების კვლევებში, შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია სახელმწიფო რესურსების მართვაზე, მიმართულების, პროგრამების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

6. სწავლის გაგრძელება შესაძლებლობა

პროგრამის I ნაწილის კურსდამთავრებულს საშუალება აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე.(როგორც აკადემიაში, ასევე სხვა უსდ-ში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.)

პროგრამის II ნაწილის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

საკონტაქტო პირი:

მაგისტრატურის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე

ელ ფოსტა: iuchadze@mod.gov.ge

ტელ: +995 577 191980